საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 169

06 03 2018 წ.

ქ. თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ**

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (დანართი №1) მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი (შემდგომში - წესი) დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის

შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული ახალი საფასურების გადახდის შემთხვევაში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებების, ასევე „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის №09/ნ ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული ახალი საფასურების გადახდის შემთხვევაში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე

დანართი

# ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი

## მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესს.

## მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების (გარდა საერთაშორისო ექსპერტებისა) (შემდგომში ცალ-ცალკე მოიხსენიება როგორც „ავტორიზაციის ექსპერტი“ და „აკრედიტაციის ექსპერტი“) საქმიანობის ანაზღაურება ხდება ამ წესის შესაბამისად, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტის სამუშაო მოიცავს ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება)/„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებითა (შემდგომ - აკრედიტაციის დებულება) და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებულ ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს.
3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. საერთაშორისო ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება ხდება ამ წესის შესაბამისად, მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება მის მიერ შესასრულებელი სამუშაო და ამ სამუშაოს შესრულების პირობები.

4[1]. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში წარდგენილი ანგარიშის შეფასებისას აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება ხდება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება შრომის ანაზღაურების ოდენობა, პირობები, ასევე მის მიერ შესასრულებელი სამუშოს და ამ სამუშაოს შესრულების პირობები.

5. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთან და საერთაშორისო ექსპერტთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

**მუხლი 3. ავტორიზაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება**

1. ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (გარდა მონიტორინგისა) ავტორიზაციის ექსპერტის ანაზღაურების გამოსათვლელად, ავტორიზაციის დებულების მიხედვით გაანგარიშებული კაც/დღეების რაოდენობა გაიყოფა ექსპერტთა ჯგუფში შემავალი წევრების რაოდენობაზე და გამრავლდება ავტორიზაციის ექსპერტის დღიურ ანაზღაურებაზე.

$1^1$. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ანაზღაურება ხორციელდება ცენტრის დირექტორის შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებული კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.

2.მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, მონიტორინგის ტიპი, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტის ანაზღაურების გამოსათვლელად შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა გამრავლდება ავტორიზაციის ექსპერტის დღიურ ანაზღაურებაზე.

$2^1$. პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, მონიტორინგის ფარგლებში, მონაწილე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ანაზღაურება ხორციელდება ცენტრის დირექტორის შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებული კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტის დღიური ანაზღაურების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა განსხვავდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებულისგან.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისათვის ამ მუხლის $1^1$ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დღიური ანაზღაურება შეადგენს - 100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 200 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

4. ამ მუხლის $2^1$ პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისათვის დღიური ანაზღაურება შეადგენს 100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 200 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო  დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისთვის დღიური ანაზღაურება შეადგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დღიურ ანაზღაურებას;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისთვის დღიური ანაზღაურება შეადგენს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დღიურ ანაზღაურებას;

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისათვის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ექსპერტის დღიური ანაზღაურება შეადგენს - 250 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 150 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

6. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფის წევრს დაეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობა, ექსპერტთა ჯგუფის წევრისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით ჯამურად ასანაზღაურებელი თანხა გაიზრდება 150 ლარით (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

**მუხლი 4. აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება**

1. აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (გარდა მონიტორინგისა) აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება გამოითვლება ერთი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესამოწმებელი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კლასტერის მიხედვით ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი), ვეტერინარის მომზადების (60 კრედიტიანი), ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა) აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 500 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის ორ კვალიფიკაციაზე, ამ პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 600 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო თუ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის სამ კვალიფიკაციაზე - 700 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
4. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე ერთი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 800 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
5. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 400 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
6. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი ვეტერინარის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 400 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
7. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 400 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
8. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერით წარმოდგენილ აკრედიტაციის განაცხადს, ექსპერტთა ანაზღაურება (ლარში) გამოითვლება შემდეგი ცხრილის თანახმად:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) და ვეტერინარის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამებისა) აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს:

| პროგრამების რაოდენობა | დარგი[1]/დამსაქმებელი[2] | სტუდენტი[3]/უმაღლესი[4] | თავმჯდომარის ანაზღაურება[5] |
|---|---|---|---|
| ორი | 700 | 700 | +150 |
| სამი | 900 | 900 | +150 |
| ოთხი | 1100 | 900 | +200 |
| ხუთი | 1300 | 1000 | +200 |
| ექვსი | 1500 | 1100 | +200 |
| შვიდი | 1700 | 1200 | +250 |
| რვა | 1900 | 1300 | +250 |

ბ) იმ შემთხვევაში თუკი ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში ასევე წარმოდგენილია რეგულირებადი და/ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, მაშინ ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ემატება 150 ლარი და აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს:

| პროგრამების რაოდენობა | დარგი/დამსაქმებელი | სტუდენტი/უმაღლესი |
|---|---|---|
| ორი | 850 | 850 |
| სამი | 1050 | 1050 |
| ოთხი | 1250 | 1050 |
| ხუთი | 1450 | 1150 |
| ექვსი | 1650 | 1250 |
| შვიდი | 1850 | 1350 |
| რვა | 2050 | 1450 |

გ) იმ შემთხვევაში თუ კლასტერში წარმოდგენილია მხოლოდ რეგულირებადი (მათ შორის 60 კრედიტიანი რეგულირებადი მასწავლებლის მომზადების და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები) ან/და დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს:

---

[1] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტი

[2] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი დამსაქმებელი

[3] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი სტუდენტი

[4] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტი

[5] აღნიშნული სვეტის მოქმედება გავრცელდება 2023 წლის 01 იანვრამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე. აღნიშნული პუნქტი არ მოქმედებს იმ წარმოებებზე, რომელშიც ჯგუფის თავმჯდომარედ განსაზღვრულია საერთაშორისო ექსპერტი.

| პროგრამების რაოდენობა | დარგი/დამსაქმებელი | სტუდენტი/უმაღლესი |
|---|---|---|
| ორი | 1000 | 1000 |
| სამი | 1200 | 1200 |
| ოთხი | 1400 | 1200 |
| ხუთი | 1600 | 1300 |
| ექვსი | 1800 | 1400 |
| შვიდი | 2000 | 1500 |
| რვა | 2200 | 1600 |

დ) იმ შემთხვევაში თუ კლასტერში წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამები, აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს:

| პროგრამების რაოდენობა | დარგი/დამსაქმებელი | სტუდენტი/უმაღლესი |
|---|---|---|
| ორი | 600 | 600 |
| სამი | 800 | 800 |
| ოთხი | 1000 | 900 |
| ხუთი | 1200 | 1000 |
| ექვსი | 1400 | 1100 |
| შვიდი | 1600 | 1200 |
| რვა | 1800 | 1300 |

8[1]. თუ პროგრამათა კლასტერში შედის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან მეტი საგანმანათლებლო პროგრამა, მაშინ ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული ანაზღაურებას თითოეული ამგვარი პროგრამისათვის ემატება: იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის ორ კვალიფიკაციაზე - 100 ლარი, ხოლო თუ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის სამ კვალიფიკაციაზე - 200 ლარი.

8[2]. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 600 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 150 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

9. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტისათვის ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების მიხედვით განზასღვრულ ერთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ასანაზღაურებელ თანხას ემატება 150 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

10. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, მონიტორინგის ტიპი, ექსპერტთა ჯგუფის

შემადგენლობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურების გამოსათვლელად შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა გამრავლდება აკრედიტაციის ექსპერტის დღიურ ანაზღაურებაზე, რომელიც შეადგენს 125 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 150 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

11. აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, სამ წელიწადში ერთხელ წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტებისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 250 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 150 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).
12. აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტებისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს:

| პროგრამების რაოდენობა | შეფასების ჯგუფის წევრი ექსპერტის ასანაზღაურებელი თანხა | თავმჯდომარის ანაზღაურება |
|---|---|---|
| ორი | 250 | +150 |
| სამი | 250 | +150 |
| ოთხი | 300 | +200 |
| ხუთი | 300 | +200 |
| ექვსი | 300 | +200 |
| შვიდი | 400 | +250 |
| რვა | 400 | +250 |

13. აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მონაწილე ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება მხარეთა მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.
14. დარგის[6]/ადგილობრივ ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება მსგავსი საექსპერტო საქმიანობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა, ექსპერტის ფიზიკური ადგილსამყოფელი, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის საჭირო თანხა, ასევე ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და სამუშაოს დაწყების ვადები.

[6] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტი

**მუხლი 5. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურების პირობები**

1. ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ამ წესით გათვალისწინებული ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შემდეგი პრინციპით: 70% - ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო 30% - შესაბამის საბჭოს სხდომაზე დასწრების, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის საფუძველზე.

1[1]. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და შესაბამისი ვიზიტის განხორციელების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ვიზიტის განხორციელებამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 40%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების შესწავლა;

ბ) დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დღეს ან ვიზიტის განხორციელებიდან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნის პროექტის წარმოდგენამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 50%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები;

გ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისი დასკვნის პროექტის წარმოდგენიდან ამავე ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 80%-ის ოდენობით;

დ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენიდან საბჭოს სხდომის ჩატარებამდე შეწყდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, რის გამოც, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტი ვერ უზრუნველყოფს საბჭოს სხდომაზე დასწრებას/შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე სრულად გაიცემა ანაზღაურება;

ე) თუ, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება შეწყდება დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის და/ან კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების გამო, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 50%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების გაცნობა და შესწავლა.

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და

ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას, ექსპერტთა ჯგუფის ჩანაცვლებულ წევრ(ებ)ს არ მიეცემათ შრომის ანაზღაურება.

$1^2$. ამ მუხლის $1^1$ პუნქტით განსაზღვრულ პერიოდებში ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის მიერ იმ თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუთავსებელია ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობასთან, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა ამ მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული პერიოდების მიხედვით დადგენილი ანაზღაურების შესაბამისად.

2. ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის შრომის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ან ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის სამივლინებო ხარჯები ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. საერთაშორისო ექსპერტების საქმიანობის ანაზღაურება**

1. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება მხარეთა მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

2. საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება მსგავსი საექსპერტო საქმიანობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა, ექსპერტის ფიზიკური ადგილსამყოფელი, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის საჭირო თანხა, ასევე ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და სამუშაოს დაწყების ვადები.

3. საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობა ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის/ერთი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესისათვის უნდა განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით მითითებულ ფარგლებში.

4. შრომითი ხელშეკრულება შესაძლებელია ითვალისწინებდეს საერთაშორისო ექსპერტის მიერ ერთი ან რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას, ასევე ერთი ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას.

**მუხლი 7. ინფორმაციის მიწოდება**

ცენტრის ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ვალდებულნი არიან ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ცენტრის მიერ ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულებისათვის, მიღებისთანავე წარუდგინონ ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს.

**მუხლი 8. გარდამავალი დებულება**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა და საფასურში“ 2022 წლის 08 ივლისის ცვლილებებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე გავრცელდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული

ცენტრის დირექტორის 2018 წლის 03 მარტის №169 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“ მე-4 მუხლის რედაქცია.